გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №77

2024 წლის 13 მაისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 66.54.18.007), პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 19 თებერვალს შემოსულია განცხადება (№ 19/2024050107-20), რომელშიც იჯარის ფორმით, კომერციული დანიშნულებით (ნაწილი ფართი - მაღაზიის გახსნის მიზნით ხოლო ნაწილი ფართი რიტუალების დარბაზის ფუნქციონირების მიზნით), 10 წლის ვადით, მოთხოვნილია, სოფელ სვენეთში მდებარე ს/კ 66.54.18.007 მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა. განცხადებაში, ასევე აღნიშნულია, რომ მოხდება ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 18 აპრილის N 123-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.54.18.007 (დაზუსტებული ფართობით - 593.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი სვენეთი, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 76 300.00 (სამოცდათექვსმეტი ათასსამასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი აღნაგობის ხელშეკრულებით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფ. სვენეთში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 66.54.18.007) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, გაცემული იქნას სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.54.18.007 (დაზუსტებული ფართობით - 593.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 მისამართი: გორის რაიონი, სოფელი სვენეთი, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.54.18.007 (დაზუსტებული ფართობით - 593.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 76 300.00 (სამოცდათექვსმეტიათას სამასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3840 (სამიათას რვაას ორმოცი) ლარით.

4.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლის ვადით.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ს/კ 66.54.18.007 უძრავ ქონება გაცემულ იყოს კომერციული დანიშნულებით (ნაწილ ფართი - მაღაზიის გახსნის მიზნით, ხოლო ნაწილი ფართი რიტუალების დარბაზის ფუნქციონირების მიზნით). ასევე, მოწესრიგებულ იქნას მიმდებარე ტერიტორია.

ბ) ,,მოიჯარის'' მიერ განხორციელდეს ს/კ 66.54.18.007 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობის რეაბილიტაცია.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**